საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY AUTHORITY

№ 04-2/1783 " 19 ოქტომბერი " 2011 წ

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს
თავჯდომარეს ბატონ ტ. ურჯუმელაშვილს

ბატონო ტატო,

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე, გიგზავნით 13.10.2011 წელს გამოქვეყნებულ №176 საკონკურსო განცხადების – მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობის გათბობის სამუშაოების საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმს #2, კონკურსანტის მიერ წარმოდგენილ საკონკურსო დოკუმენტაციას და ამავე კონკურსში შ.პ.ს. ,,კომფორტი"–ს დისკვალიფიკაციის წერილს.

გთხოვთ, აღნიშნული დოკუმენტაცია გამოგვიქვეყნოთ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

საკონკურსო კომისიის
თავმჯდომარე /გ. დორეული/

3000 ქ მარნეული რუსთაველის ქ № 73 2 25 25 /// 99 87 93 RUSTAVELI str. MARNEULI

მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობის გათბობის სამუშაოების საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა

საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი

ოქმი №2

ქ. მარნეული 19.10.2011 წელი

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

გია დორეული - მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე – კომისიის თავმჯდომარე;

მალხაზ სამაშვილი –მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი – კომისიის წევრი;

დავით ხარშილაძე -ეკონომიკური განვითარების და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი– კომისიის წევრი;

ვუგარ მამედოვი– საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის უფროსი–კომისიის წევრი;

რომან ტაბატაძე – საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე–კომისიის წევრი;

გიორგი შუკაკიძე–ფრაქცია „ნაციონალების თავმჯდომარე– კომისიის წევრი;

ელდარ მუსტაფაევი– იურიდიული კომისიის თავმჯდომარე – კომისიის წევრი;

დღის წესრიგი:

მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობის გათბობის სამუშაოების საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების საკონკურსო განცხადება განთავსდა 13-10-2011 წელს 17:41 საათზე, საკონკურსო წინადადების მიღების ბოლო ვადად მითითებული იყო 19 .10.2011წ. 12:00 სთ.

აღნიშნული დროისათვის საკონკურსო წინადადება წარმოადგინა ერთმა კონკურსანტმა შ.პ.ს ,, კომფორტ"–მა და დაფიქსირდა საკონკურსო წინადადების ფასი 2 804 (ორი ათას რვაას ოთხი ლარი.

საკონკურსო კომისიამ განიხილა ,, შ.პ.ს ,, კომფორტი"–ს მიერ 19.10.2011 წელს რეგ. #08/3095 წერილით წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ მთლიანობაში საკონკურსო წინადადება და წარმოდგენილი დოკუმენტაცია–ინფორმაცია არ აკმაყოფილებს საკონკურსო განცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციის მოთხოვნებს.

<u>კომისიამ იხელმძღვანელა, რა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით და „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #3 ბრძანებით", დაადგინა.</u>

1. ვინაიდან, კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ შეესაბამება საკონკურსო განცხადებით და დოკუმენტაციით დადგენილ პირობებს და მოთხოვნებს, მიენიჭოს დისკვალიფიკაცია და კონკურსი ჩაითვალოს უარყოფითი შედეგით დასრულებულად .
2. დაევალოს საკონკურსო აპარატის წევრს ზანდა კვანჭიანს გაუგზავნოს შეტყობინება შ.პ.ს. ,, კონფორტ"–ს დისკვალიფიკაციის შესახებ.

კომისიის თავმჯდომარე — გია დორეული

კომისიის წევრები — დავით ხარშილაძე

მალხაზ სამაშვილი

ვუგარ მამედოვი

რომან ტაპატაძე

გიორგი შუკაკიძე

ელდარ მუსტაფაევი

საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY AUTHORITY

№ 08-2/1785 „ 19 ოქტომბერი “ 2011 წ

შ.პ.ს „კომფორტი“–ს
დირექტორს
ბატონ გიორგი ლომიძეს
(მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას #38, ბინა #7)

გაცნობებთ, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოს მიერ გამოცხადებულ „მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობის გათბობის სამუშაოების საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების“ კონკურსის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვაზე თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია–ინფორმაცია არ აკმაყოფილებს საკონკურსო განცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციის მოთხოვნებს. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების შესაბამისად, მოგენიჭათ დისკვალიფიკაცია.

საკონკურსო კომისიის
თავმჯდომარე /გ. დორეული/

3000 ქ მარნეული რუსთაველის ქ № 73 ☎ 2 25 25 /// 99 87 93 RUSTAVELI str. MARNEULI